



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 439

29 დეკემბერი
“ --- ” ----- 2020 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.711; ს/კ: 01.72.14.034.238; ს/კ: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ. მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლელებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/კ: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118¹ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 7 დეკემბრის №18.996.1373 განკარგულების პირველი და მე-3 პუნქტების და 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1559.1909 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.72.14.034.711; ს/კ: №01.72.14.034.238; ს/კ: №01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის (ს/კ: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1559.1909 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, №01.72.14.034.711 (2700 კვ.მ); №01.72.14.034.238 (1488 კვ.მ) და №01.72.14.034.243 (1427 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების, აღნიშნული განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრულ პირთათვის, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ამავე განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის №47 განკარგულება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის №04.19.76 განკარგულების დანართი №2-ის მე-15 პუნქტით განსაზღვრული პირის, გია თავაძის (პ. ნ. 01019044602) (უფლებამონაცვლე - ელენე თავაძე (პ/ნ: 01022011370)) ნაწილში, მისი გამოცემის დღიდან და მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, აღნიშნული პირის ნაწილში, ძალადაკარგულად გამოაცხადოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2017 წლის 15 მარტის ხელშეკრულება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

№	კოოპერატივის ნომერი	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მიწის ნაკვეთის წილი - კვ. მ
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.711				
კოოპერატივის წევრები				
1	646	ჯემალ გაბარაშვილი	01025015803	95.705
2	656	ელიზბარი სულთანიშვილი	01001045066	85.441
3	658	ნათია კალატოზიშვილი	01004007580	81.576
4	649	ლეილა კრიხელი	01008031912	79.710
5	671	მანანა თათარაძე	01005017267	90.107
6	621	ნათელა გველესიანი	18001020926	46.919
7	621	ნოდარ ჯლანტიაშვილი	01022014547	71.179
8	626	ნანა დიაკონიძე	01010005425	150.622
9	626	ლეილა გიორგელაშვილი	01001014946	83.975
10	654	არსენა წიკლაური	12001011635	103.969
11	668	ზალიკო კვირკველია	48001013411	79.710
12	651	ნუნა კერესელიძე	01030017008	119.964
13	619	იზოლდა შუბაშვილი	01025000066	139.559
14	649	ამინათი გვიდიანი	01021001734	113.833
15	672	ნათელა გულბანი	62005022203	84.108
16	626	ვალოდია ჩიტაური	01001038383	148.556
17	670	ნაილი ნადირაძე	01022002802	26.659
18	621	ნუნუ ხარაძე	01020013194	88.507
19	613	ნუნუ დარჩია	01006021493	112.900

20	653	რამაზ ცუცქერიძე	01003011405	120.231
21	668	თინა გამცემლიძე	01014004008	113.166
22	648	ნაირა ძმანაშვილი	01023003803	78.777
23	654	აფინა გავრილოვა	01023002691	64.381
24	649	ციცინო ბაგაური	01027056487	113.166
25	670	რუსუდან ჯახუა	01020004583	77.177
26	655	ციური ყველაშვილი	01020011914	98.371
27	647	ალექსანდრე ნადირაძე	01025007766	104.769
28	668	მზია ფურცელაძე	01011051130	79.043
29	621	სოფიო ხმალაძე	01002020015	46.919
კომპანია				
30		შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“	405198806	1.00
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.238				
კოოპერატივის წევრები				
31	629	დარიკო მარუაშვილი დავით ლილუაშვილი ივანე ლილუაშვილი	01020015759 01020007049 01020005364	110.705
32	629	თამარ ბერიკაშვილი	01001032208	63.070
33	629	ცარო ფართლაძე	01001030801	63.070
34	629	გიული ჭიოკაძე	01001014077	63.070
35	660	მია დიაკვნიშვილი	01004000149	96.202
36	654	თენგიზ გვილავა	01017013332	103.786
37	655	ტარიელი ტენტერაშვილი	24001018607	78.904

38	649	ჟუჟუნა ჯანეზაშვილი	01019022869	113.100
39	668	ნინო ბექაური	01011016329	79.569
40	652	მაია ჯაფარიძე	01018006760	100.460
41	648	ვერა ოლოფინსკაია	01003005485	79.303
42	668	ბორისი ჩიტაია	01011077512	113.632
43	653	ნინო ჟივიძე	01007008828	55.619
44	649	ჯულიეტა გრიგოლია	01017003549	98.863
45	647	მაცვალა წივწივაძე	01022002301	79.303
46	664	ელენე თავაძე	01022011370	188.343
კომპანია				
47		შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“	405198806	1.00
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.243				
კოოპერატივის წევრები				
48	655	მალხაზი ჯანჯალაშვილი	01019012083	112.327
49	653	გიორგი შარაშიძე	01001068588	120.360
50	649	ნოშრევანი თაბორიძე	01019018867	112.796
51	648	ოლღა ზალდასტანიშვილი	01002016862	119.431
52	673	ჯემალ ყავლაშვილი	01020000227	107.754
53	654	ქართლოს ყაჭიაშვილი	01030015433	103.507
54	649	მარინა სიხარულიძე	01029014221	104.303
55	626	ირა ჩუბინიძე	01024048449	105.498
		ნინო ჩუბინიძე	01024019438	
		თამარ ფანცულაია	01024062829	
56	655	ჟუჟუნა ჯიბლაძე	01022001665	127.393

57	624	გოგი ფიფია	01013006888	91.891
58	664	ზურაბ კურტანიძე	01019025738	151.545
59	651	როზა სიხარულიძე	01034005678	119.431
60	613	ქეთევან შარმაზანაშვილი	01024033636	49.763
კომპანია				
61		შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“	405198806	1.00

ხელშეკრულება

ქ. თბილისში, [●] მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: [●])
ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის
და შპს [●]-სთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

_____ 2020 წ.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებების საფუძველზე,

- (1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი [●] მიერ (შემდგომში - „სააგენტო“);
- (2) წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები/მათი უფლებამონაცვლები (შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „კოოპერატივის წევრები“);
- (3) შპს [●], ს/კ: [●], წარმოდგენილი [●] მიერ (შემდგომში - „კომპანია“);

შემდგომში თითოეული ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - „მხარე“;

პრეამბულა

ვინაიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2020 წლის 31 იანვრიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, N01.72.14.034.711; N01,72,14,034,238; N01.72.14.034.243 (ჯამში 5615 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“) (მოთხოვნილი განაშენიანების მინიმალური ფართობი კ2=4.6-ის გათვალისწინებით - 2600 კვ.მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“);

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) 2020 წლის 1 აპრილის №61-0120092987 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს კომპანია, რომელმაც ინტერესთა გამოხატვაში წარადგინა კოოპერატივის წევრებისათვის ჯამურად გადასაცემი ფართის ყველაზე მაღალი შეთავაზება (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - 4220 კვ. მ ოდენობით (შემდგომში - „სამშენებლო ფართი“);

ვინაიდან, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემი სამშენებლო ფართი (4 220 კვ. მ), მიწის ნაკვეთების ფართობების პროპორციულად, განაწილდა შემდეგნაირად: N01.72.14.034.711 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სოფელი დიღომი, 2700 კვ. მ) გადასაცემი ფართი განისაზღვრა - 2025.6 კვ. მ-ის ოდენობით, N01,72,14,034,238 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სოფელი დიღომი, 1488 კვ. მ) - 1118.3 კვ. მ-ის ოდენობით, ხოლო N01.72.14.034.243 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სოფელი დიღომი, 1427 კვ. მ) - 1076.1 კვ. მ-ის ოდენობით;

ვინაიდან, კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი სანოტარო აქტების საფუძველზე, განაცხადეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.72.14.034.711; N01,72,14,034,238; N01.72.14.034.243 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით;

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის [●] განკარგულებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.72.14.034.711; N01,72,14,034,238; N01.72.14.034.243 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული (ჯამური ფართობი 5615 კვ.მ) მიწის

ნაკვეთების კოოპერატივის წევრებისა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/კ: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, დადონ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“):

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და უძრავი ქონების რეგისტრაციის წესი

- 1.1. სააგენტო ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ფართობებით, პირდაპირი წესით, პრივატიზების ფორმით, საკუთრებაში გადასცემს კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებს (შემდგომში - „უძრავი ქონება“):
 - 1.1.1. საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.711 - სოფელი დილომი, 2700 კვ. მ;
 - 1.1.2. საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.238 - სოფელი დილომი, 1488 კვ. მ;
 - 1.1.3. საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.243 - სოფელი დილომი, 1427 კვ. მ.
- 1.2. უძრავი ქონება კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას საკუთრებაში გადაეცემათ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული პირობის სანაცვლოდ, სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების მოწმობისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციის საფუძველზე.
- 1.3. სააგენტო შესაბამის საკუთრების მოწმობას გასცემს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 1.4. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა და საჯარო რეესტრში უძრავი ქონება რეგისტრირდება ხელშეკრულების საპრივატიზებო და 3.1 და 3.4 პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვალდებულებით, რაც შესაბამის მოწმობაში/ამონაწერში აისახება შემდეგი ჩანაწერით: „შეძენილია საპრივატიზებო და ხელშეკრულების შესრულების პირობით“.
- 1.5. კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების, 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და დანართით გათვალისწინებულ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ, მიწის ნაკვეთსა და ინდივიდუალურად რეგისტრირებულ ფართებზე გაუქმდება სააგენტოს მიმართ ხელშეკრულების 1.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და ჩანაწერი: „შეძენილია საპრივატიზებო და ხელშეკრულების შესრულების პირობით“, კომპანიის მიმართვისა და სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 1.6. ხელშეკრულების 1.5 პუნქტში მითითებული პირობების შესრულებამდე (შესაბამისი წესით დადასტურებამდე) გადაცემული უძრავი ქონების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს წერილობითი თანხმობით, გარდა ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე უძრავი ქონების

კომპანიის საკუთრებაში გადაცემისა შემთხვევისა, რაც არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან დამატებითი თანხმობას.

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

- 2.1. უძრავი ქონება კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას გადაეცემათ სიმბოლურ ფასად, ამ ხელშეკრულების დანართში მითითებულ თითოეულ პირს 1 (ერთი) ლარად (შემდგომში - „საპრივატიზებო საფასური“). საპრივატიზებო საფასური გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით: [●].
- 2.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, კოოპერატივის წევრები სრულად ამბობენ უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.
- 2.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ამ ხელშეკრულების დანართის 46-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი - ელენე თავაძე (პ.ნ. 01022011370), როგორც გია თავაძის (პ.ნ. 01019044602) უფლებამონაცვლე, უარს აცხადებს მისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2017 წლის 15 მარტს დადებული ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებაზე და აცხადებს, რომ აღნიშნული აქტებისა და ხელშეკრულების მის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადებასა და აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით, არ აქვს და არც მომავალში არ წარმოემოხა რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.

მუხლი 3. კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას შორის დასადები შეთანხმება

- 3.1. კოოპერატივის წევრები და კომპანია თანხმდებიან, რომ კოოპერატივის ყველა წევრის სახელზე დანართით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის შესაბამისი წილის საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, კოოპერატივის წევრების მიერ შექმნილ ამხანაგობასა (შემდგომში - „ამხანაგობა“) და კომპანიას შორის გაფორმდება შეთანხმება (ხელშეკრულება) სამშენებლო პროექტის განხორციელების თაობაზე, რომლის თანახმადაც, ამხანაგობა კომპანიას საკუთრებაში გადასცემს უძრავ ქონებას იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, კომპანია კოოპერატივის წევრებს გადასცემს საკუთრების უფლებას (საჯარო რეესტრში პირის მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით) ამ ხელშეკრულების დანართითა და სამშენებლო პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ მშენებლობის შედეგად გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ფართებზე (შემდგომში - „ინდივიდუალური ფართები“), ხოლო მშენებლობის დასრულებისთანავე, აღნიშნულ ფართებს გადასცემს მათ ფაქტობრივად, ე. წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. წინამდებარე პუნქტში მითითებული

შეთანხმება (ხელშეკრულება) ექვემდებარება რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, ამავე შეთანხმების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმებით (ხელშეკრულებით) განისაზღვრება კომპანიის მიერ უძრავ ქონებაზე განსახორციელებელ სამშენებლო პროექტში კოოპერატივის წევრთა დაკმაყოფილების პირობები და ვადები, მათ შორის, ინდივიდუალური ფართების კოოპერატივის წევრებზე გადაცემის პირობები, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების/ვადების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა (თითოეული პირისათვის მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური საბაზრო ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცემაზე დღეზე) ან/და სხვაგვარი სანქციის დაკისრების წესი და მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობანი. შეთანხმების პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს.

3.3. კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი, ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ინდივიდუალური ფართების ფართობი გამოითვლება ბინის გარე პერიმეტრის მიხედვით (შიდა ტიხრების ჩათვლით). ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული „თეთრი კარკასის მდგომარეობა“ გულისხმობს შემდეგს:

- დასრულებული კორპუსის ფასადი და სახურავი; ბინის/ფართის გარე პერიმეტრზე
- მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები (ორმაგი მინა პაკეტით) დამონტაჟებული;
- ბინაში/ფართში შესასვლელი რკინის კარი (საკეტით) დამონტაჟებული;
- ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით;
- ბინის/ფართის შიდა ტიხრები მოწყობილი კოოპერატივის წევრების მითითების შესაბამისად და კედლები გალესილი გაჯით ან სხვა მასალით;
- ბინის/ფართის იატაკი მოჭიმული ცემენტის ხსნარით (ე.წ. „სტიაშკა“);
- ბინის/ფართის აივნები მოწყობილი შეთანხმებული პროექტის შესაბამისად; სადარბაზო კეთილმოწყობილი, ლიფტი დამონტაჟებული/ჩართული.
- აივნის ფართი არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის წევრისთვის გადაცემული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართის 10%-ს (სხვა შემთხვევაში აივნის დამატებითი ფართი კოოპერატივის წევრს გადაეცემა უსასყიდლოდ).

3.4. კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის/კომპლექსის სრული არქიტექტურული პროექტი შეათანხმოს და მშენებლობის ნებართვა/ნებართვები მოიპოვოს ამავე მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში. კომპანია, ასევე, ვალდებულია ამ ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია განახორციელოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში და უზრუნველყოს საჯარო რეესტრიდან კოოპერატივის თითოეულ წევრის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი ინდივიდუალური ამონაწერის მომზადება.

- 3.5. კომპანია ვალდებულია მშენებლობა დაასრულოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) წლის ვადაში და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
- 3.6. კომპანიას ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოემოხა მხოლოდ კოოპერატივის იმ წევრების ან/და უფლებამონაცვლეების მიმართ, რომლებიც მითითებულია ამ ხელშეკრულების დანართში.
- 3.7. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მშენებლობა დასრულებულად მიიჩნევა, როდესაც შენობა-ნაგებობა მიაღწევს ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებულ „თეთრი კარკასის“ მდგომარეობას.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

- 4.1. კოოპერატივის წევრებისა და კომპანიის ვალდებულებები სააგენტოს წინაშე
 - 4.1.1. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, შეასრულონ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობები და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.
 - 4.1.2. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, უზრუნველყონ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების დანართში მითითებულ ყველა პირზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია სააგენტოს მიერ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში და საკუთრების მოწმობასთან ერთად, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით წარადგინონ წინამდებარე ხელშეკრულება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებები.
 - 4.1.3. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო მომსახურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სხვა ნებისმიერი ხარჯის გადახდა ეკისრებათ კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას (სოლიდარულად ან მათ შორის სხვაგვარი შეთანხმების მიხედვით).
 - 4.1.4. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, გააფორმონ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული შეთანხმება (ხელშეკრულება) მითითებული პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. თუ კოოპერატივის წევრი ან მისი უფლებამონაცვლე/წარმომადგენელი უარს განაცხადებს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმების (ხელშეკრულების) ხელმოწერაზე ან შეთანხმებას (ხელშეკრულებას) არ მოაწერს ხელს ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს 6.2.1.1 პუნქტით გათვალისწინებული წესით, რა შემთხვევაშიც ასეთი პირის მიმართ დადგება ამ ხელშეკრულების 6.3.4 პუნქტით გათვალისწინებული შედეგები.
 - 4.1.5. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, სააგენტოს წარუდგინონ ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, სააგენტოს მიერ კოოპერატივის ან/და კომპანიისთვის გაგზავნილი შესაბამისი

მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

- 4.1.6. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, უძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, ამ ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4.2. კოოპერატივის წევრებისა და კომპანიის ვალდებულებები ერთმანეთის წინაშე

- 4.2.1. კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან შექმნან ამხანაგობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უზრუნველყონ უძრავი ქონების ამხანაგობის საკუთრებად აღრიცხვა, ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (ხელშეკრულების) დადების ვადის დადგომამდე და კომპანიასთან ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება (ხელშეკრულება) გააფორმონ და მასთან შემდგომი ურთიერთობა აწარმოონ ამხანაგობის თავმჯდომარის მეშვეობით.
- 4.2.2. კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან, ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) შესაბამისად უძრავი ქონების კომპანიისთვის გადაცემამდე არ განკარგონ ან/და უფლებრივად არ დატვირთონ უძრავი ქონება, ან/და სხვა რაიმე მოქმედებით/უმოქმედობით ხელი არ შეუშალონ უძრავი ქონების კომპანიისთვის გადაცემას.
- 4.2.3. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრების მხრიდან აღმოჩნდება/გამოვლინდება ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადების დამაბრკოლებელი გარემოება/გარემოებები, კერძოდ, კოოპერატივის წევრის/წევრების ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის/ყადაღის/საგადასახადო იპოთეკის ან/და სხვა მსგავსი საფუძვლით და ეს საფუძველი წარმოშობილი იქნება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადებაამდე პერიოდში, კოოპერატივის შესაბამისი წევრი ვალდებულია ამ გარემოების გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრა, ხოლო თუ ამ ვადაში მის მიერ აღნიშნული ხარვეზი არ აღმოფხვრება, კომპანია უფლებამოსილია, ამ კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ქონების ღირებულების ფარგლებში, დააკმაყოფილოს ამ კოოპერატივის წევრის კრედიტორი და გაათავისუფლოს აღნიშნული ქონება ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში, კოოპერატივის წევრი, რომლის ნაცვლადაც იქნება ვალდებულება შესრულებული, ვალდებულია, კომპანიასთან გააფორმოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება და 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს კომპანიისთვის მის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რეგრესის წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული კოოპერატივის წევრის მიმართ გამოყენებულ იქნება ამ ხელშეკრულების 6.2.-6.3. პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები.
- 4.2.4. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულებითა და 3.1. პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებით (ხელშეკრულებით) განისაზღვრება მხოლოდ მისაღები საცხოვრებელი ბინების ფართობი (დანართის შესაბამისად), ხოლო ფართის სხვა მახასიათებლები (ხედი, სართული, მდებარეობა, კონფიგურაცია) კომპანიასა და კოოპერატივის წევრებს შორის წინასწარ არ შეთანხმდება და აღნიშნულ მახასიათებლებს განსაზღვრავს კომპანია, საკუთარი შეხედულებისამებრ. შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, კომპანია ამხანაგობის

თავმჯდომარეს გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ბინების მდებარეობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ. ამხანაგობის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ინდივიდუალური ფართების განაწილებას კოოპერატივის წევრებს შორის კომპანიის მიერ მიწოდებული შეტყობინების შესაბამისად, ღია კენჭისყრის მეთოდით. მიღებული შედეგების შესახებ, ამხანაგობის თავმჯდომარე კომპანიას აცნობებს წერილობით, კომპანიის მიერ მისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში. ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მიწოდებული მონაცემების შესაბამისად, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და ვადების შესაბამისად.

- 4.2.5. კომპანია უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კოოპერატივის წევრების თანხმობის გარეშე, განახორციელოს კოოპერატივის წევრებზე გადასაცემი ფართების პროექტირება, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები შეთანხმებულ საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციაში და ამ მიზნით, კოოპერატივის წევრების სახელით მიმართოს ნებისმიერ სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოს ან/და ნებისმიერ სხვა პირს. კომპანიას არ აქვს უფლება განახორციელოს კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემი, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ბინების ფართობისა და რაოდენობის ცვლილება. ამასთან, დასაშვებია ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული, კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემი ფართების ცდომილება, გადასაცემი ფართის შემცირების შემთხვევაში, არაუმეტეს 3%-ით შემცირების პირობით. ასეთ შემთხვევაში, კოოპერატივის წევრებს არ წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება კომპანიის/სააგენტოს მიმართ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ფართი აღემატება ამ ხელშეკრულების დანართის შესაბამისად მისთვის გადასაცემ ფართს, კომპანია გადასცემს მას გაზრდილ ფართს და აღნიშნულთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრ(ებ)ის/სააგენტოს მიმართ არ წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.
- 4.2.6. კოოპერატივის წევრები თანხმობას აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, არ განახორციელებენ მათ საკუთრებაში არსებული ფართის შიდა ან გარე გეგმარების ცვლილებას (მათ შორის ტიხრების გადაადგილება/ლიობების (კარი, ფანჯარა, ფრამუგა, სარკმელი და ა.შ.), კომპანიის თანხმობის გარეშე.
- 4.2.7. კომპანია უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით, ამხანაგობის დამატებითი თანხმობის გარეშე, განახორციელოს უძრავი ქონების დაყოფა ან/და გაერთიანება ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად. დაყოფილ ან/და გაერთიანებულ მიწის ნაკვეთებს მიანიჭოს დამოუკიდებელი საკადასტრო კოდები და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა განახორციელოს უძრავი ქონების დაყოფის ან/და გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ ცალკეულ საკადასტრო ერთეულებზე ერთობლივად ან

ცალ-ცალკე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 4.2.8. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადების შემდეგ, კომპანია უფლებამოსილია, მხარეთა თანხმობის გარეშე, უფლებრივად დატვირთოს მიწის ნაკვეთი/ნაკვეთები, მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით.
- 4.2.9. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, შეასრულონ ამ ხელშეკრულებით ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 5. მხარეთა გარანტიები და განცხადებები

- 5.1. კოოპერატივის წევრები აცხადებს და ადასტურებენ, რომ:
 - 5.1.1. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, ხელშეკრულების დანართში მითითებული ყველა პირი ნამდვილად წარმოადგენს ამავე დანართში მითითებული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს ან/და წევრის უფლებამონაცვლეს და არ არსებობენ მესამე პირები, რომელთაც აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ მიმართ აქვთ პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.
 - 5.1.2. კოოპერატივის წევრებს, მათ უფლებამონაცვლეებს, წარმომადგენლებს ან/და მათი სახელით მოქმედ სხვა პირებს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების საფუძველზე არ მიუღიათ არანაირი უძრავი ქონება, მატერიალური ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ფულადი თანხა და ა.შ. შესაბამისი სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის სანაცვლოდ ან/და მასთან დაკავშირებით;
 - 5.1.3. როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების 2.2 პუნქტში, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, კოოპერატივის წევრები სრულად ამბობენ უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებაზე, მოთხოვნაზე, ინტერესსა ან/და პრეტენზიაზე საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს წინაშე;
 - 5.1.4. როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების 2.3 პუნქტში, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ამ ხელშეკრულების დანართის 46-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი - ელენე თავაძე (პ.ნ. 01022011370), როგორც გია თავაძის (პ. ნ. 01019044602) უფლებამონაცვლე, უარს აცხადებს მისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2017 წლის 15 მარტს დადებული ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებაზე და აცხადებს, რომ აღნიშნული აქტებისა და ხელშეკრულების მის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადებასა და აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით არ აქვს და არც მომავალში არ წარმოეშობა რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.

- 5.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, კოოპერატივის წევრები თანხმობას აძლევენ კომპანიას, კომპანიამ ამავე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ფართებზე, ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოს საჯარო რეესტრში კოოპერატივის თითოეული წევრის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.
- 5.1.6. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის კოოპერატივის არცერთი წევრი არ ირიცხება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან/და სხვა სახის მოვალეთა რეესტრში ან/და მათ მიმართ არ მიმდინარეობს სააღსრულებლო ან/და სასამართლო საქმისწარმოება, ასევე, არ არსებობს რაიმე სხვა გარემოება, რამაც შესაძლოა შეაფერხოს/ხელი შეუშალოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან/და ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) შესაბამისად კომპანიისთვის უძრავი ქონების გადაცემას;
- 5.2 კოოპერატივის წევრები და კომპანია ადასტურებენ და აცხადებენ, რომ:
- 5.2.1 გააჩნიათ შეუზღუდავი და სრული უფლებამოსილება, გააფორმონ ხელშეკრულება, განახორციელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებები და შეასრულონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.
- 5.2.2 გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები, გადაიხადონ საპრივატიზებო თანხა და შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები, მათ შორის, ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (ხელშეკრულების) გაფორმებასა და მის შესრულებასთან დაკავშირებით;
- 5.2.3 მათთვის ცნობილია ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადასაცემი უძრავი ქონების უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, ხარისხი, მახასიათებლები და სავარაუდო ღირებულება და აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზია (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ უძრავი ქონების (სავარაუდო) ღირებულება ნაკლებია შესაბამისი სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის (სავარაუდო) ღირებულებაზე);
- 5.2.4 ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოს ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს უძრავი ქონების გადაცემა ამ ხელშეკრულების დანართის შესაბამისად. კომპანია და კოოპერატივის წევრები ერთმანეთის წინაშე არიან პასუხისმგებლები ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით დასადები შეთანხმებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს არ ეკისრება არანაირი სახის ვალდებულება ან/და პასუხისმგებლობა. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიას და კოოპერატივის წევრებს არ აქვთ და არც წარმოეშობათ რაიმე სახის უფლება, მოთხოვნა, ინტერესი ან/და პრეტენზია საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს მიმართ.
- 5.2.5 არ არსებობს არსებული ან/და შესაძლოდ გამოვლენილი არანაირი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოება, რამაც შეიძლება შეაფერხოს/ხელი შეუშალოს ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებების და გარანტიების შესრულებას.
- 5.2.6 ხელშეკრულების ყველა მხარე კისრულობს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულების ფარგლებში იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 5.2.7 სააგენტო ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ კოოპერატივის წევრებისა და კომპანიის ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა განცხადებისა და გარანტიის ნამდვილობის პრეზუმფციაზე დაყრდნობით.

**მუხლი 6. საბანკო გარანტია, მხარეთა პასუხისმგებლობა და
ხელშეკრულების შეწყვეტა**

6.1. საბანკო გარანტია, მისი დაბრუნებისა და გამოთხოვის პირობები

6.1.1. ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, კერძოდ, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული შეთანხმების გაფორმების, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია. ხელშეკრულების ფარგლებში საბანკო გარანტია გაცემული „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)” წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ და მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 %-ს. კომპანია ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 3 თვისა, მისი მოქმედების ვადა გააგრძელოს იმგვარად, რომ მისი იგი სულ მცირე 4 (ოთხი) თვით აღემატებოდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა და ბოლო მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადას.

6.1.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს ხელშეკრულების 3.1 და 3.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრება სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტში მითითებული საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

6.1.3. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში კომპანია სრულად არ გადაიხდის დაკისრებულ პირგასამტეხლოს, სააგენტო უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გამოითხოვოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია. ასეთ შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, საბანკო გარანტიის გამოთხოვიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გაზარდოს (შეავსოს) საბანკო გარანტიის ოდენობა ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტში მითითებულ ჯამურ ოდენობამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ სრულად გამოითხოვოს დარჩენილი საბანკო გარანტიის ოდენობა.

6.1.4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია შეასრულებს შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადაში, სააგენტო კომპანიას დაუბრუნებს (გააუქმებს პრინციპალის სასარგებლოდ) საბანკო გარანტიას, კომპანიის მიმართვიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

6.2. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

6.2.1. მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;

- 6.2.2. სააგენტოს მიერ ცალმხრივად (სააგენტოს შეხედულებისამებრ, სრულად ან/და ნაწილობრივ დანართში მითითებული შესაბამისი პირის მიმართ), იმ შემთხვევაში, თუ:
- 6.2.1.1. კოოპერატივის წევრ(ებ)მა არ შეასრულეს / არაჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე (მათ შორის, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების) ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და დარღვევა არ გამოსწორდა 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში;
 - 6.2.1.2. კომპანიამ არ შეასრულა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და დარღვევა არ გამოსწორდა 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში - სამივე უძრავი ქონების (N---, N---- და N-- საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების) ნაწილში ერთობლივად. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კომპანია წერილობით გამოხატავს ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების მზაობას და შეთანხმება არ გაფორმდება კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაშინ აღნიშნული არ ჩაითვლება კომპანიის მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების ვალდებულების დარღვევად.
 - 6.2.1.3. კომპანიამ არ შეასრულა / არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და დარღვევა არ გამოსწორდა 60 (სამოცი) დღის ვადაში - სამივე უძრავი ქონების (N---, N---- და N-- საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების) ნაწილში ერთობლივად.
 - 6.2.1.4. სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, სრულად ან/და ნაწილობრივ ნამდვილი/ზუსტი არ არის ან/და არ სრულდება ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული კოოპერატივის წევრის რომელიმე განცხადება ან/და გარანტია - დაუყოვნებლივ, აღნიშნული ინფორმაციის შეტყობისთანავე.
- 6.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 6.3. სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 6.2.2 ქვეპუნქტის მიხედვით შეწყვეტა (სააგენტოს შეხედულებისამებრ, სრულად ან/და ნაწილობრივ დანართში მითითებული შესაბამისი პირის ნაწილში) გამოიწვევს შემდეგს:
- 6.3.1. უძრავი ქონება (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი ნებისმიერი ობიექტი) (ან/და მასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება) დაბრუნდება (მიექცევა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუქმდება, თუ ქონების დატვირთვამდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საპრივატიზებო/სახელშეკრულებო ვალდებულებ(ებ)ის ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ზემოთ ხსენებული ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდება და მასზე არსებული იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლებები გაუქმდება სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი ცალმხრივი წერილობითი მიმართვის

საფუძველზე, რაც არ საჭიროებს კომპანიის, კოოპერატივის წევრ(ებ)ის ან სხვა ნებისმიერი მესამე პირის თანხმობას;

- 6.3.2. სააგენტოს არ დაეკისრება საპრივატიზებო პროცესის ან/და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გადახდილი თანხებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.
- 6.3.3. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიერ ხელშეკრულება შეწყდება ნაწილობრივ დანართში მითითებული რომელიმე პირის - კოოპერატივის წევრის/მისი უფლებამონაცვლის მიმართ, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გაფორმებულია ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმება (ხელშეკრულება) და უძრავი ქონება რეგისტრირებულია კომპანიის საკუთრებად, სააგენტო ავტომატურად მიიჩნევა შესაბამისი პირის უფლებამონაცვლედ მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე მისაღები ფართის ნაწილში და შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი) დარეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი ცალმხრივი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს კომპანიის, კოოპერატივის წევრ(ებ)ის ან სხვა ნებისმიერი მესამე პირის თანხმობას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეწყდა 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე, შესაბამისი ქონების მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრაციიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, სააგენტო აღნიშნულ შეთანხმებას გააფორმებს კომპანიასთან ან ამავე ვადაში აღნიშნულ ქონებას გადასცეს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრულ ნებისმიერ პირს. ამასთან, სააგენტო უზრუნველყოს ამ პირის მიერ კომპანიასთან ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებას.
- 6.3.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ პუნქტის 6.3.1 ან/და 6.3.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით უძრავი ქონების (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონების, ან ტერიტორიაზე შექმნილი ნებისმერი ობიექტის) ან/და მასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლების სააგენტოსთვის გადაცემა (დაბრუნება), იგი უფლებამოსილია ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ შესაბამის პირ(ებ)ს მოსთხოვოს შესაბამისი ზიანის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი უთანხმოება ან/და დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დავის მოლაპარაკების გზით დასრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები.

მუხლი 8. სხვა პირობები

- 8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე

- 8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 8.3. ნებისმიერი კორექსიონდენცია მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე შეტყობინების გაგზავნის გზით. თითოეული მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების სხვა მხარეებს წერილობით აცნობოს მითითებული მისამართის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ადრესატისთვის ჩაბარებულად ზედიზედ 2-ჯერ სს "საქართველოს ფოსტით" ან/და ხვა კურიერის მიერ ჩაბარების შეუძლებლობის შემთხვევაში.
- სააგენტო: [●]
კოოპერატივის წევრები: [●]
კომპანია: [●]
- 8.4. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მასთან ერთად.
- 8.5. ხელშეკრულება შედგენილია [●] თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

ხელშეკრულების დანართი

№	კოოპერატივის ნომერი	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მიწის ნაკვეთის წილი - კვ. მ	საცხოვრებელი ბინის ფართი - კვ. მ
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.711					
კოოპერატივის წევრები					
1	646	ჯემალ გაბარაშვილი	01025015803	95.705	71.8
2	656	ელიზბარი სულთანშვილი	01001045066	85.441	64.1
3	658	ნათია კალატოზიშვილი	01004007580	81.576	61.2
4	649	ლეილა კრიხელი	01008031912	79.710	59.8
5	671	მანანა თათარაძე	01005017267	90.107	67.6
6	621	ნათელა გველესიანი	18001020926	46.919	35.2
7	621	ნოდარ ჯლანტიაშვილი	01022014547	71.179	53.4

8	626	ნანა დიაკონიძე	01010005425	150.622	113
9	626	ლელია გიორგელაშვილი	01001014946	83.975	63
10	654	არსენა წიკლაური	12001011635	103.969	78
11	668	ზალიკო კვირკველია	48001013411	79.710	59.8
12	651	ნუნა კერესელიძე	01030017008	119.964	90
13	619	იზოლდა შუბაშვილი	01025000066	139.559	104.7
14	649	ამინათი გვიდიანი	01021001734	113.833	85.4
15	672	ნათელა გულბანი	62005022203	84.108	63.1
16	626	ვალოდია ჩიტაური	01001038383	148.556	112.2
17	670	ნაილი ნადირაძე	01022002802	26.659	20
18	621	ნუნუ ხარაძე	01020013194	88.507	66.4
19	613	ნუნუ დარჩია	01006021493	112.900	84.7
20	653	რამაზ ცუცქირიძე	01003011405	120.231	90.2
21	668	თინა გამცემლიძე	01014004008	113.166	84.9
22	648	ნაირა ძმანაშვილი	01023003803	78.777	59.1
23	654	აფინა გავრილოვა	01023002691	64.381	48.3
24	649	ციცინო ბაგაური	01027056487	113.166	84.9
25	670	რუსუდან ჯახუა	01020004583	77.177	57.9
26	655	ციური ყველაშვილი	01020011914	98.371	73.8
27	647	ალექსანდრე ნადირაძე	01025007766	104.769	78.6
28	668	მზია ფურცელაძე	01011051130	79.043	59.3
29	621	სოფიო ხმალაძე	01002020015	46.919	35.2
კომპანია					
30		შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“	405198806	1.00	-
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.238					

კოოპერატივის წევრები					
31	629	დარიკო მარუაშვილი დავით ლილუაშვილი ივანე ლილუაშვილი	01020015759 01020007049 01020005364	110.705	83.2
32	629	თამარ ბერიკაშვილი	01001032208	63.070	47.4
33	629	ცარო ფართლაძე	01001030801	63.070	47.4
34	629	გიული ჭიოკაძე	01001014077	63.070	47.4
35	660	მაია დიაკვნიშვილი	01004000149	96.202	72.3
36	654	თენგიზ გვილაგა	01017013332	103.786	78
37	655	ტარიელი ტენტერაშვილი	24001018607	78.904	59.3
38	649	ჟუჟუნა ჯანუაშვილი	01019022869	113.100	85
39	668	ნინო ბექაური	01011016329	79.569	59.8
40	652	მაია ჯაფარიძე	01018006760	100.460	75.5
41	648	ვერა ოლოფინსკაია	01003005485	79.303	59.6
42	668	ბორისი ჩიტაია	01011077512	113.632	85.4
43	653	ნინო ჟივიძე	01007008828	55.619	41.8
44	649	ჯულიეტა გრიგოლია	01017003549	98.863	74.3
45	647	მაცვალა წივწივაძე	01022002301	79.303	59.6
46	664	ელენე თავაძე	01022011370	188.343	142.3
კომპანია					
47		შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“	405198806	1.00	-
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 01.72.14.034.243					
კოოპერატივის წევრები					
48	655	მალხაზი ჯანჯალაშვილი	01019012083	112.327	85.4
49	653	გიორგი შარაშიძე	01001068588	120.360	90.7
50	649	ნოშრევანი თაბორიძე	01019018867	112.796	85
51	648	ოლღა ზალდასტანიშვილი	01002016862	119.431	90

52	673	ჯემალ ყაველაშვილი	01020000227	107.754	81.2
53	654	ქართლოს ყაჭიაშვილი	01030015433	103.507	78
54	649	მარინა სიხარულიძე	01029014221	104.303	78.6
55	626	ირა ჩუბინიძე ნინო ჩუბინიძე თამარ ფანცულაია	01024048449 01024019438 01024062829	105.498	79.5
56	655	ჟუჟუნა ჯიბლაძე	01022001665	127.393	96
57	624	გოგი ფიფია	01013006888	91.891	70
58	664	ზურაბ კურტანიძე	01019025738	151.545	114.2
59	651	როზა სიხარულიძე	01034005678	119.431	90
60	613	ქეთევან შარმაზანაშვილი	01024033636	49.763	37.5
კომპანია					
61		შპს „საერთაშორისო საინჟინტერიო ჯგუფი“	405198806	1.00	-